

საბა


საქართველოს კათოლიკთა
ყოველთვიური განცე

THE MONTHLY BULLETIN OF
CATHOLICS OF GEORGIA - SABA

№ (330) | 2023

ივნისი

- 1** ივნისი - წმ. ნინოს შემოსვლა საქართველოში,
კახეთის ხიზაბავრის დღეობა
- 3** ივნისი - ოქახების შეხვედრა წეროვანში
- 4** ივნისი - ყოვლადწმიდა სამების დიდდღესასწაული
- 6-7** ივნისი - VII სიმპოზიუმი კათოლიკური
მემკვიდრეობის შესახებ სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტში
- 8** ივნისი (ან 11 ივნისი) - ხორცი და სისხლი უფლისა
- 12** ივნისი - წმ. გასპარე ბერტონის მოხსენიება
- 13** ივნისი - ახალშენის ეკლესიის გახსნის 25-ე იუბილე
- 13-14** ივნისი - მღვდლების შეხვედრა ეპისკოპოსთან
ქუთაისში
- 16** ივნისი - იესოს ღვთიური გული, ასპინძის
ხიზაბავრის დღეობა
- 22-25** ივნისი - ბიბლიური დღეები მ. პიერ დიუმულენთან
წეროვანში
- 24** ივნისი - იოანე ნათლისმცემლის შობა
- 29** ივნისი - წმიდა პეტრე და პავლე მოციქულნი,
თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის დღეობა,
შესაწირი პაპისთვის



რედაქტორის მვერდი ...	3-4
კათოლიკი ეკლესია	
მსოფლიოში.....	5-6
ჩვენი ეკლესია.....	7-8
სოციალური მვერდი ..	9-10
ჩანართი:.....	I-IV
სოციალური მვერდი -	
Caritas Georgia	11
ერისთავს თანამედროვე	
მოწევი.....	12-13
ეკლესიის	
სამანძურიფან.....	14-15
ახალგაზრდული	
მვერდი	16
კათოლიკური	
კულტურის	17
საბავშვო მვერდი.....	18
ინფორმაცია.....	19

„ჯანმრთელობა ყველასთვის“ - მითი თუ რეალობა?



მსოფლიოში დაახლოებით 400 მილიონ ადამიანს არ გააჩნია წვდომა აუცილებელ ჯანდაცვის სერვისებზე; 5 მილიონ ადამიანს არ უტარდება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აუცილებელი მკურნალობა, 17 მილიონს კი - აივ/შიდსზე; 20 მილიონ ბავშვს არ აქვს გაკეთებული დიფტერიის, ტეტანუსისა და ყივანახველას საწინააღმდეგო აცრა; 1,1 მილიარდი ადამიანი ისე ცხოვრობს, რომ ვერ აკონტროლებს ჰიპერტენზიას; 2.3 მილიარდ ადამიანს ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გარეშე უწევს ცხოვრება და ჯანმრთელობის დაცვის კატასტროფული ხარჯების გამო ოჯახები უკიდურეს სილარიბეს განიცდიან. ასეთია ის უნუგეშო ინფორმაცია, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) გამოაქვეყნა ჯანმრთელობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ა. ნ. 7 აპრილს, თავისი საქმიანობის 75 წლის იუბილეზე, რომელიც აღინიშნება დევიზით „ჯანმრთელობა ყველასათვის“.

გაეროსთან აფილირებული ორგანიზაციის მიზანია რაც შეიძლება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი გახადოს გადაუდებელი მკურნალობა ჯანმრთელობის საყოველთაო

უფლების უზრუნველსაყოფად. თუმცა უკანასკნელ წლებში, მას ისეთ უდიდეს გლობალურ მოვლენებთან მოუწია გამკლავება, როგორიცაა პანდემია, ომები (ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ), რასაც მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და საგანგებო კლიმატური მდგომარეობა. ასეთია ვითარება, რომელიც ორგანიზაციის დაარსების პირველად შთამაგონებელ იდეალებთან გვაბრუნებს: 75 წლის ნინ, 1948 წელს, ისტორიაში პირველად, ჯანმრთელობა ოფიციალურად იქნა აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებად და, როგორც ასეთი, ყველას უნდა ჰქონოდა წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე, საჭირო დროსა და ადგილზე, ფინანსური გასაჭირის მიუხედავად.

მააბ გაპრიელე
პრაგანტინი CSS

სფიგმატელი, ეპისკოპოსის
ვიკარი ეპუმენიზმის
და კულტურის დარგში,
ცინამბრვარი (ქუთაისი,
ქათუმი, მზურგეთი)



რედაქტორის გვერდი

ისიც მართალია, რომ შედეგი მიღწეულ იქნა კვლევებისა და ყველა ინსტიტუციის თანამშრომლობის წყალობით: სიცოცხლის ხანგრძლივობა საუკუნის სამ მეოთხედში გლობალურად გაიზარდა 46-დან 73 წლამდე, შესუსტდა ჩუტყვავილითა და პოლიმელიტით გამოწვეული მძიმე შედეგები; მალარია აღმოიფხვრა 42 ქვეყანაში, დედათა სიკვდილიანობა შემცირდა მესამედით, აივ-ისა და ტუბერკულოზის ეპიდემიები შეიზღუდა, ებოლა შეჩერდა და, ჯანმოს წყალობით, შესაძლებელი გახდა კოვიდის სანინაალმდეგო ვაქცინების გავრცელება. განიხილება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა წარმატებათა შედეგები, როგორიცაა მასობრივი კონტრაცეფციის ხელმისაწვდომობა და აპორტების შემცირება. ბოლო-დროინდელმა დიდმა გლობალურმა კრიზისებმა გამოავლინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის არაეფექტურობა, არაადეკვატურობა და რეფორმის აუცილებლობა, რაც დიდი გამოწვევა იქნებოდა მისთვის ჯანმრთელობის უთანასწორობასთან ბრძოლაში, ეს მტკიცნეული საკითხია.

იმისათვის, რომ „ჯანმრთელობა ყველასთვის“ რეალობად იქცეს და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას შუწყოს ხელი, ჯანმო აღნიშნავს, რომ ყოვლად აუცილებელია სოლიდური ინვესტირება ჯანდაცვის სისტემაში, დაწყებული ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების გაზრდით და ჯანდაცვის კუთხით ოჯახების მიერ განეული ხარჯების შემცირებით, ასევე უნდა მოხდეს საყოველთაო

ჯანდაცვის ხარჯების დაფარვა და საგანგებო სიტუაციებისთვის ადეკვატური მომზადება. ჯანმო აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის ხარჯების დაფარვა პოლიტიკურ-სოციალური არჩევანია და ამისათვის „გვჭირდება ძლიერი პოლიტიკური თანხმობა და საზოგადოებრივი აზრის შეგულიანება“. ჯანმო ასევე რეკომენდაციას უწევს „ჯანმრთელობის გადასახადების“ გაზრდას თამბაქოზე, ალკოჰოლზე, დამატებულ შაქარზე... შემდეგ კი დიდ პრობლემას წარმოადგენს პერსონალი, იმის გათვალისწინებით, რომ 2023-დან 2030 წლამდე მსოფლიოში 10 მილიონი ჯანდაცვის მუშავის დეფიციტია მოსალოდნელი. ეს მოითხოვს ინვესტიციებს განათლებაში და ჯანდაცვის სექტორში სამუშაო ადგილების შექმნას. ჯანმო ასევე დარწმუნებულია, რომ საჭიროა „ადამიანების, ოჯახებისა და თემების ჩართვა და გაძლიერება მეტი სოციალური თანამონანილეობისათვის და ზრუნვა ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე“.

საქართველოს კონსტიტუციის 28.1 მუხლით: „მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით. 2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას და სამედიცინო მომსახურების ხარისხს, არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და ფარმაცევტული საშუალებების მიმოქცევას“.

მითია ეს თუ რეალობა?



პათოლიკა ეკლესია მსოფლიოში რუსულან ავალიგვილი

უმიდესი ფრანცისკეს სამოციქულო ვიზიტი უნგრეთში



28-30 აპრილს უნგრეთის პაპი უნგრეთს სტუმრობდა. ვიზიტის პირველ დღეს პონტიფექსი ქვეყნის პრეზიდენტს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტის რეზიდენციიდან პაპი ფრანცისკე გაემართა ბუდაპეშტის წმიდა სტეფანეს საკათედრო ტაძარში, სადაც კათოლიკე ეპისკოპოსებს, მღვდლებს, ბერ-მონაზნებსა და სემინარიის სტუდენტებს შეხვდა. 29 აპრილს, დილით, ფრანცისკე ეწვია ნეტარი ლასლო ბატიანი-შტრატმანის სახელობის ინსტიტუტს, სადაც ამ დაწესებულების ბენეფიციარები, უსინათლო და უნარშეზღუდული ბავშვები მოინახულა. შუადლისას პაპი წმიდა ელისაბედ უნგრელის ეკლესიაში უკრაინელ ლტოლვილებს შეხვდა, შემდეგ კი უნგრეთის ბერძნული წესის კათოლიკეთა სამრევლოს ეწვია. საღამოს ლასლოს სახელობის სტადიონზე უნმიდესმა ფრანცისკემ სიტყვით მიმართა უნგრეთის კათოლიკე ახალგაზრდებს: „თქვენ დიდი საქმეებისთვის ხართ მონილებულნი, მაგრამ მუდამ გახსოვდეთ: დიდი საქმეები მხოლოდ მოყვასის მსახურებით მიიღწევა. თქვენი საუკეთესო მწვრთნელი და დამრიგებელი იქსოა. მას მიმართეთ, მას ჰყითხეთ რჩევა და ეკლესიის, თქვენი თემის სხვა წევრებთან ერთად მოყვასს ემსახურეთ“.

30 აპრილს ბუდაპეშტში, ლაიოშ კოშუტის მოედანზე პაპმა წმიდა წირვა აღავლინა. წირვის და ქადაგების დასასრულს ფრანცისკემ ლოცვით მიმართა წმიდა მარიამს: „ლოცისმშობლის გულს მივანდობ უნგრელ ხალხს და მთელი ევროპის მომავალს. უნმიდეს ქალწულო, მოხედე ტანჯულ ერებს. სამყაროს დედოფალო, აღავსე ერთა ლიდერების გულები მშვიდობის დამყარების სურვილით, რათა ახალ თაობას მშვიდობა გადავცეთ და არა ომი, რათა მათი მომავალი სავსე იყოს აკვნებით და არა საფლავებით“.

ვოლოდიმირ ზელენსკის ვიზიტი ვატიკანში. წმიდა საყდრის სამშვიდობო მისის

13 მაისს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი უნმიდეს პაპს შეხვდა. წმიდა საყდრის პრესამსახური იტყვიბინება, რომ შეხვედრა 40 წუთს გაგრძელდა. ზელენსკიმ და ფრანცისკემ უკრაინის პოლიტიკური და პუმანიტარული სიტუაცია განხილეს. რომის ეპისკოპოსთან საუბრის შემდეგ ზელენსკი წმიდა საყდრის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების განყოფილების მდივანს, პოლრიჩარდ გალაპერს შეხვდა. ბუდაპეშტიდან რომში მგზავრობისას თვითმფრინავის ბორტზე ურნალისტებთან საუბრისას უწმიდესმა ფრანცისკემ აღნიშნა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების ხელშეწყობისთვის წმიდა საყდარი გეგმავს სამშვიდობ მისიას, რომლის დეტალები მოგვიანებით გასაჯაროვდება. ომის დასაწყისიდან უწმიდესმა პაპმა არაერთხელ გამოხატა როგორც კიევში, ასევე მოსკოვში ვიზიტის მზადყოფნა.



ფოტოგამოთხენა „ქალთა ტირილი“

2-28 მაისს წმიდა პეტრეს მოედანზე გაიმართა ფოტოგამოფენა „ქალთა ტირილი“, რომლის მიზანი მსოფლიოს ქალთა ხვედრისა და მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობისადმი ყურადღების მიქცევაა. ინიციატივა ეკუთვნის წმიდა საყდრის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას და ქალთა კათოლიკური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია რვა ცნობილი ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ოცდაექვსი ქალის ფოტო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან: ამაზონიდან, უკრაინიდან, აზიდან და სხვ. „ეკლე-

კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულან ავალიგვილი

სიას სურს გულში ჩაიკრას და თავისი სიყვარულით გაათბოს მთელი მსოფლიოს ქალები, მორწმუნებიც და არამორწმუნებიც; მას სურს, რომ ყველას დანახოს მათი ტკივილი, შეცვალოს მათი ცხოვრება, რადგან მათი ყოფის შეცვლით მათი ოჯახების, მთელი მსოფლიოს ცხოვრება შეიცვლება“, - აღნიშნა ქალთა კათოლიკური ორგანიზაციების კავშირის პრეზიდენტმა მარია ლია ზერვინომ.

ვესტმინსტერის მთავარეპისკოპოსმა ჩრდილი მესამე აკურთხება

6 მაისს ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთი ირლანდიისა და თანამეგობრობის ქვეყნების ახალი მეფის, ჩარლზ მესამის კორონაცია. პირველად, რეფორმაციის დროიდან, კენტერბერის მთავარეპისკოპოსის მიერ

ცხებულმა მეფემ ვესტმინსტერის მთავარეპისკოპოსის, ინგლისისა და უელსის კათოლიკეთა პრიმატის, კარდინალ ნიკოლსის კურთხევაც მიიღო. ცერემონიაზე წმიდა საყდარს კარდინალი პიეტრო პაროლინი წარმოადგენდა. ჩარლზ მესამის თხოვნით, ცერემონიას გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა რელიგიურ თემთა ლიდერები დაქანისტრნენ.



პაპმა ფრანცისკემ კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქეს უმასპინძლა

10 მაისს, ვატიკანში საჯარო აუდიენციაზე, პაპი ფრანცისკე ალექსანდრიის პაპსა და წმიდა მარკოზის ტახტის მემკვიდრეს, კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიის წინამდღვარს, თეოდოროუს II-ს მიესალმა. მისალმებისას პაპმა ფრანცისკემ აღნიშნა, რომ მართლმადიდებელმა იერარქმა სიხარულით მიიღო მისი მიწვევა, ჩასულიყო მარადიულ ქალაქში, რათა ერთობლივად ეზეიმათ პაპ პავლე VI-ისა და ალექსანდრიის პაპის, შენუდ III-ის ისტორიული შეხვედრის 50 წლისთავი, რომელიც შედგა ვატიკანში 1973 წელს.

„ეს იყო რომის ეპისკოპოსსა და კოპტური

მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქეს შორის პირველი შეხვედრა, რომელიც 10 მაისს საერთო ქრისტოლოგიური დეკლარაციის სამახსოვრო ხელმოწერით დასრულდა. მისი უნიკალური თეოდოროუსი ათი წლის წინ, 10 მაისს, თავისი და ჩემი არჩევიდან მალევე, პირველად ჩამობრძანდა ჩემთან და შემომთავაზა ყოველ 10 მაისს აღგვენიშნა კოპტურ-კათოლიკური მეგობრობა, რომელსაც მას შემდეგ ყოველ წელს ვზეიმობთ“, - თქვა პაპმა ფრანცისკემ.

წმიდა მამამ სულიერ ძმას კეთილი სურვილები მიუძღვნა: „დაე, თქვენი ვიზიტი რომში და ყოველი შეხვედრა, რომელსაც აქ აღასრულებთ, განსაკუთრებით კი ჩვენი პირადი საუბრები, იყოს სულინმიდით გასხივოსნებული. მთელი გულით გამოვხატავ მადლიერებას კათოლიკე ეკლესიასა და კოპტურ-მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მეგობრობისადმი თქვენი სწრაფვის გამო“.

თეოდოროუს II კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიის 118-ე პაპი და პატრიარქია. იგი პაპად აირჩიეს მისივე დაბადების დღეზე, 2012 წლის 4 ნოემბერს. განათლება მიიღო დიდ ბრიტანეთში. პაპად არჩევამდე იყო ეპისკოპოსი და კოპტური ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი.


შოთა მიერთვილი

ახალშენის პათოლიკური ეკლესია 25 წლისას

აპრილის ღრუბლიან დღეს ლამაზად გამოიყურებოდა ახალშენი. ყველა ღელავდა, მაგრამ უსაზღვრო იყო სიხარული და მოლოდინი იმისა, რომ ამიერიდან თეთრი ქვით ამოყვანილ კედლებში აღევლინებოდა წირვა-ლოცვა; ზარების რეკვა მოუხმობდა მრევლს ამ კოპნია შენობისაკენ. ეს არის ჩვენი ეკლესია - „იესო ქრისტე სამყაროს მეფე“, რომელიც 1998 წლის 4 აპრილს საზემოდ ეკურთხა და გაიხსნა. მას შემდეგ ოცდახუთმა წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე მრავალი რამ შეიცვალა... თუმცა არ შეცვლილა ტაძარი, რომელიც ამაყად და ლამაზად დგას სოფლის შუაგულში და იმ სულისკვეთებით ელოდება მრევლს, როგორც 25 წლის წინათ.

მთელ საქართველოში მოსახლეობის გაზრდილი მიგრაციის შედეგად დაიცალა ქალაქები და სოფლები; არც ჩვენი სოფელია გამონაკლისი, საგრძნობლად შემცირდა ჩვენი ეკლესის მრევლი, ამასთან ერთად, ძალიან ბევრი ადამიანი გადავიდა უფლის სახლში. მიუხედავად ამისა, დიდი სიყვარულით მინდა შემოუძახო ჩემს თანასოფლელებს, რომ ეს ეკლესია ჩვენი სულიერი ტაძარია, რომელსაც ისევე უნდა ზრუნვა და პატრონობა, როგორც იმ კარ-მიდამოს, სადაც ვცხოვრობთ.

2023 წლის 13 ივნისს ახალშენელები ვიზეიმებთ ჩვენი ეკლესის 25 წლის იუბილეს, რომელიც იმთავითვე იქნება ძალიან ემოციური, თუმცა ბევრ რამეზე დასაფიქრებელიც და, ამავე დროს, საამაყო. თითოეული ჩენგანის თვალსა და გონებაში კადრებივით გაივლის



ძალიან ტკბილად მოსაგონარი, დაუვინარი წლები.

ეკლესია ვართ ჩვენ, თითოეული ჩვენგანი, და უდიდესი პატივისცემით შევხვდეთ 25 წლის იუბილეს ისევ მრავალრიცხვანნი, ისევ გაერთიანებულნი და რწმენით გამსჭვალულნი, როგორც მაშინ - 25 წლის წინათ!

დაბოლოს, ჩემო ახალშენელებო, გილოცავთ ჩვენი ეკლესის 25 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანის სიმრთელესა და წელთა სიმრავლეს, თქვენი ეკლესის სიყვარულსა და ქრისტეს რწმენის სისრულეს!

დუმილი თუ ლირსება?



სურათზე მარცხნივ ხედავთ კათოლიკე მღვდელს, ზურგჩანთით, მარჯვნივ მართლმადიდებელი „მამაო“ და სადაც თემა წელსაც იგივეა: „ვერ ჩაატარებთ აქ წირვას, ტო!“ ... სურათის ფონზე, მოვლენათა ეპიცენტრში, დედაჩემი და მამაჩემიც ჩანან; დედაჩემის იმედგაცრუებულმა სახემ გული შემიკუმშა... მისი რეაქცია ქართველი კათოლიკე მრევლის საერთო სახეს გამოხატავს, იმ პრობლემას, რასაც ჩვენ ბუზმარეთში (და არა მარტო აქ) ყოველი დღესასწაულის აღნიშვნისას ვაწყდებით.

18 მაისს კათოლიკე ეკლესია ამაღლების დღესასწაულს აღნიშნავს. ამ დღეს ადგილობრივი მოსახლეობა დაახლოებით 16 კილომეტრზე მეტ მანძილს გადის ფეხით, რათა მოილოცოს საქართველო-თურქეთის საზღვრის შიგნით და მის გარეთ მდებარე ტაძრები და მონაწილეობა მიიღოს ნმიდა წირვაში. სასაზღვრო ნეიტრალურ ზონაში არსებული ტაძარი 2006-2007 წლებში კათოლიკე მრევლის წევრებმა აღადგინეს. საზღვრის გარეთ მდებარე ეკლესია კი 1999 წელს იქნა აღდგენილი. 2010 წელს ამავე ეკლესიასთან ახლოს, ტყეში, მამათა მართლმადიდებლური მონასტერი აშენდა და ამ ტერიტორიაზე არსებული ეკლესიები რატომდაც ავტომატურად გადავიდა აღნიშნული მონასტრის დაქვემდებარებაში. აქ არსებითად მნიშვნელოვანია იმ ფაქტების დადგენა, თუ როდის გაიცა ნებართვა მონასტრის მშენებლობაზე, ზუსტად როდის და რა ფინანსური სახსრებით აშენდა ის. ფაქტი კი სახეზეა: 2022 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ბუზმა-

რეთის მამათა მონასტერს კეთილმოწყობისათვის 75 000 ლარი გამოუყო.

1989-91 წელში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა რელიგიური თუ სამლოცველო შენობა-ნაგებობა ანგარიშმიუცემლად მის საკუთრებაში გადავიდა. ამ პერიოდში დაკარგა კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში არსებული 5 დიდი ტაძარი, ხოლო მეექვსე, ბუზმარეთის ეკლესია, - მოგვიანებით, 2008-2010 წლებში. ეს საკითხი დღემდე პოლიტიკურ პრობლემად რჩება მართლმადიდებელ და კათოლიკე ეკლესიებს შორის.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი ეკლესია უსასყიდლოდ გადაეცათ ქართველ მართლმადიდებლებს, უანგარო დახმარებისა და თანადგომის მიუხედავად, კათოლიკე ეკლესიამ საქართველოში, სამწუხაროდ, ვერ დაიმსახურა, რომ დღესასწაული აღნიშნოს უმტკივნეულოდ და ყველანაირი პროვოკაციის გარეშე. სიტუაცია კი წლიდან წლამდე უარესდება. წლების წინ, ადგილობრივ მოსახლეობას თითქმის არასდროს უხდებოდა მსგავს პროვოკაციულ შეტაკებებთან გამკლავება, ჩვენ შორის ურთიერთპატივისცემა და ჰარმონია სუფევდა. დღეს კი რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება საკუთარი რწმენა თავისუფლად და ღირსეულად წარმოაჩინონ.

მივიჩნევ, დადგა დრო, კათოლიკე ეკლესიამ შეცვალოს თავისი ლმობიერი პოლიტიკა საქართველოს მთავრობის მიმართ და გადადგას მკაფიო, საკუთარ უფლებებზე ორიენტირებული ქმედითი ნაბიჯები, რათა კათოლიკეთა თემმა საქართველოში მომდევნო 20 წელინადში საბოლოოდ არ შეწყვიტოს არსებობა. ჩვენს მრევლს აქვს დაუცველობის განცდა, რომ მათი უფლებებისთვის დღეს არავინ იბრძვის, რომ საზოგადოება და სახელმწიფო მათ ღირსეულად ვერასდროს ვერ მოეპყრობა. საკითხი ნამდვილად მწვავეა და ჩვენს რეალობაში ეგზისტენციალურ პრობლემას წარმოადგენს.

მთელი მრევლის სახელით, ვიმედოვნებ, რომ ამ ინცინდენტს მოყვება სათანადო რეაგირება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, ომბუდსმენის აპარატისა თუ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისაგან.

სოციალური გვერდი აფეოველა ერთინ

პაველ სიმონი საქართველო - საროგაცის ხალი ბაზი

სტატია მომზადდა „ინერ ჯორჯიას“-თან თანამშრომლობით. იტალიაში სუროგაცია აკრძალული სამედიცინო პრაქტიკაა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამი თვიდან ორ წლამდე და 600 000-დან მილიონ ევრომდე ჯარიმით. ამჟამად სუროგაციის კანონის წინააღმდეგ დიდი კამპანიაა გაჩაღებული. ამიტომაც დაინტერესდა იტალიელი ურნალისტი საქართველოს მდგომარეობით. გთავაზობთ მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას ვერონის ეპარქიის გაზითში „Avvenire“.

უკრაინის დატოვების შემდეგ გლობალური რეპროდუქციული ტურიზმი გეზს იღებს თბილისისკენ, სადაც, სუროვაციის სააგენტოების გამრავლების პარალელურად, იზრდება ექსპლუატირებულ ქალთა რაოდენობაც.

წყვილები ჩამოდიან მეზობელი თურქეთი-დან და შორეული ჩინეთიდან, ისრაელიდან და გერმანიდან, ესპანეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც უკრაინას თავს დაესხა რუსეთი: კიევის პროკრეაციული ტურიზმი შეჩერდა და ამით სარგებელი საქართველომ მიიღო, ქვეყანამ, სადაც სუროგაცია კანონით 2007 წლიდან რეგულირდება. მას შემდეგ ათასობით ბავშვი დაიბადა. დღეს პრობლემა სწორედ ეს უკიდურესი მოთხოვნაა: 3,7 მილიონი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში როგორ მოვძებნოთ ყველა ის სუროგატი დედა, რომელსაც მსოფლიო ბაზარი ითხოვს დაკვეთილი ბავშვებისთვის? საქართველოში

კლინიკა ფუნქციონირებს, ისინი თავმოყრილია უმეტესად დედაქალაქ თბილისში და ბათუმში, თურქეთის საზღვარზე მდებარე ქალაქში, განუსაზღვრელი რაოდენობის საშუალო სააგენტოებთან ერთად: სწორედ ისინი ზრუნავენ სუროვატი დედების დაქირავებაზე და ბოლო თვეებში მათ დაიწყეს ახალგაზრდა ქალების „იმპორტირება“ უფრო ღარიბი ქვეყნებიდან. ასევე, ზრუნავენ დაწყვილებაზე დამკვეთ წყვილებთან (რომლებიც კანონით ითხოვენ დაქორნინებულ ჰეტეროსექსუალებს და აქვთ სამედიცინო (ცნობა გამრავლების შეუძლებლობის შესახებ), ამონმებენ, რომ ორსულობის დროს კონტრაქტორი ქალები რეგულარულად იღებდნენ მედიკამენტებს, გაიარონ სავალდებულო ვიზიტები და დაიცვან ყველა შეთანხმება, რომელიც ეხება, მაგალითად, კვებას, ფიზიკურ აქტივობას, სქესობრივ აქტს (რაც ყოველთვის აკრძალულია, თვით ქმართანაც).

ანაზღაურებაც მეტ-ნაკლებად სტანდარტულია: 15-დან 20 ათას დოლარამდე (შეერთებულ შტატებში მოქმედი ღირებულების მეათედი) ყოველი წარმატებული ორსულობისთვის, საიდანაც ყოველთვიურად ნაწილი იხდება 300-დოლ-



სოციალური გვერდი აფონელა მარინი

არიანი ჩეკით. ტყუპების დაბადების შემთხვევაში გათვალისწინებულია ბოლუსი 2000 დოლარი. კანონი ითვალისწინებს, რომ სუროგატი დედა და კლიენტი წყვილი ნოტარიუსის წინაშე აფორმებდეს ხელშეკრულებას, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. მომხმარებლების 99% უცხოელები არიან: ევროპელები, ჩინელები, ებრაელები, თურქები და ამერიკელები, უკვე ერთი წელი კი - ასევე, ავსტრალიელები, კანადელები და ირლანდიელები. „უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩვენზე მოთხოვნა ძალიან გაიზარდა“, - აღნიშნავს რადიო თავისუფლების უურნალისტ ნინო თარხნიშვილთან ინტერვიუში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბროკერო სააგენტოს ხელმძღვანელი თამარ გვაზავა, რომლის დახმარებითაც სამი ათასი ბავშვი დაიბადა. ვრცელი ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2022 წლის ოქტომბერში: „ვეძებთ გზებს, რომ ჩამოვიყვანოთ სუროგატი დედები მეზობელი ქვეყნებიდან, გადმოვიტანოთ ემბრიონები აქ, შემდეგ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში და ორსულობის ბოლო თვეებში ჩამოვიყვანოთ ისევ საქართველოში სამშობიაროდ“.

კათოლიკური ეკლესიის სიცოცხლისა და ოჯახის სამსახურის ოფისი - კათოლიკები უმცირესობის წარმომადგენლები არიან (მოსახლეობის 0,8%) - ღირებულ საქმიანობას ეწევა ცნობადობის ამაღლებით, აგროვებს სუროგატი დედების ხმებს, რომლებიც საქართველოში, და სხვაგანაც, ბიზნესის ჯაჭვის სუსტ რგოლს წარმოადგენენ. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეხება ქართველ წყვილს, რომლებიც სასტიკად მოატყუეს: კლინიკამ აცნობა მათ, ორსულობის თითქმის დასასრულს, რომ ბავშვი გარდაცვლილი იყო, თუმცა, დამადასტურებელი საბუთების გარეშე, და ყოველ შემთხვევაში, ჯიბეში ჩაიდეს მთელი ის დანაზოგი, რაც მათ ერთად მოაგროვეს, რათა განეხორციელებინათ ოცნება და მშობლები გამხდარიყვნენ. იმის დასამტკიცებლად, რომ სუროგაცია არის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ უთანასწორობას და ღარიბი ქალების ექსპლუატაციას, უურნალისტ თარხნიშვილის მიერ შეგროვებულია ჩვენებები. ასეთია ჩინელი წყვილისთვის ტყუპებზე ფეხმძიმე 38 წლის ნინოს მოწმობა, რომელსაც მშობიარობისთანავე 15 000 დოლარს გადაუხდიან. ეს მისი მეორე სუროგატული ორსუ-

ლობაა, გადაწყვიტა ისარგებლოს ბოლო შანსით (კანონით დაშვებული მაქსიმალური ასაკი 39 წელია), რადგან ქოში ცხოვრობს. „ქირამ შეგვჭამა“, ამბობს ის და იმედოვნებს, რომ ამ თანხით თავისითვის და სამი შვილისთვის „პატარა სახლის“ ყიდვას შეძლებს. ნინო საუბრობს იმ დაავადებებზე, რომლებიც გამოიწვია იძულებით მიღებულმა დიდი რაოდენობით წამლებმა, ნაადრევი მშობიარობის კოშმარზე, და ხელშეკრულების გაუქმებაზე.


შემდეგ არის სალომეს ამბავი მისი მესამე სუროგაციული დედობის შესახებ, პირველად ეს მოხდა 2013 წელს, როდესაც ის სულ რაღაც 20 წლის იყო, ძალიან ღარიბი, არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. 12 თვის შემდეგ ახალი შეკვეთა, ამჯერად ტყუპები ქართველი წყვილისთვის. ახლა სალომე უცხოელი წყვილისთვის ელოდება შვილს და საკუთარი ბინის ყიდვაზე ოცნებობს. საშუალებლო სააგენტოს მფლობელი თამარ გვაზავა აღიარებს, რომ ქალები თანხმდებიან გააგრძელონ რისულობა სხვებისთვის, რადგან ისინი არიან „უსახლკარო, შემოსავლის გარეშე, ქმრებს ვალები აქვთ აღებული, ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე, ეს შეიძლება მივიჩნიოთ ქალზე ერთგვარ ძალადობად“.

გვაზავა განმარტავს, რომ სიღარიბე აიძულებს სუროგატი დედების 80%-ს, ამ საქმიანობას დაუბრუნდნენ: ზოგიერთი არაკეთილისინდისიერი უწყება სთავაზობს ახალ ორსულობას მშობიარობიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგაც, მაშინაც, როდესაც წესები ორმაგ ინტერვალს ადგენს.

ამ და სხვა ჩვენებებიდან გამომდინარე, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, იტალიაშიც კი, და, უნინარესად, იმ მემარცხენებს შორის, რომლებიც იბრძვიან უმცირესობის უფლებისათვის, მაგრამ მხარს უჭერებ სხვებისთვის ორსულობას, არ არის ქალის თავისუფალი არჩევანი, ეს არის იძულება. საქართველოს მართლმადიდებელი პატრიარქი ილია მეორე 2014 წლის საშობაო წერილში აღნიშნავს, რომ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ოჯახი „ბედნიერი ვერ იქნება“. ძლიერი კრიტიკის ფონზე, მან დააზუსტა, რომ უყვარს ბავშვები, მაგრამ სუროგაციის პრაქტიკა მიუღებელი და მორალურად უკანონოა. იტალიის საელჩო კი თანამემამულე წყვილებს „აფრთხილებს“.

მამრძელება იქნება

სამოციეულო ადმინისტრაციის სამართლებრივი პრიორიტეტები



თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ქვეყნის გვიანი შუა საუკუნეების ისტორიას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა განათლების კერების მოძლაა, ამიტომაც ქართველი მეფე-მთავრები დაუინებით ცდილობდნენ მის მოგვარებას და ამ მიმართებით მთავარ დამხმარედ და მხარდამჭერად რომის პაპსა და წმიდა საყდარს მიიჩნევდნენ. არც ცდებოდნენ, პირველი ქართული სტამბაც ხომ რომში შეიქმნა და რომიდან სასულიერო მისით საქართველოში წარმოგზავნილი კათოლიკე მამები ფართო განათლებითა და ერუდიციით გამოიჩინენ, სწორედ მათ მიერ რომში გაზიარდნილი წერილების საფუძველზე დღეს შესაძლებელია


გასულ საუკუნეთა ისტორიული სურათების გაცოცხლება, რაც გვარწმუნებს, რომ ამ მისიათა პრიორიტეტს ადგილობრივი მოსახლეობის განათლებაზე ზრუნვა წარმოადგენდა.

მრავალი ისტორიული ფაქტით დასტურდება, რომ XVII საუკუნიდან ქართლშიც, გურიაშიც, სამეგრელოშიც, თბილისშიც, გორშიც და ქუთაისშიც თეატინელთა და კაპუცინთა სასულიერო ორდენების წარმომადგენელი კათოლიკე მამები თითქმის სამი საუკუნის მანძილზე უდიდეს საგანმანათლებლო მისიას ახორციელებდნენ. ამ მამებმა ევროპული განათლების კერები შექმნეს თავიანთ მისიონებში და კათოლიკე მორწმუნებაზთან ერთად სხვა კონფესიის წარმომადგენლებიც ეზიარებოდნენ

იმდროინდელ მოწინავე განათლებას. ეს ნიშა განათლებისა და ეკონომიკური განვითარებისა გახდა კათოლიკობის სიმბოლო საქართველოსათვის.

2010 წელს, სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორმა, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, როდესაც თავის ერთ-ერთ ქადაგებაში კათოლიკე მრევლისათვის ახალი ტაძრების აგების პრობლემებს შეეხო, აღნიშნა: „ეკლესია ქვები არ არის, ეკლესია მორწმუნეთა საკრებულოა, მაცხოვრის რწმენით აღსავსე გულების საკრებულო და მისი წართმევა შეუძლებელია. ამიტომ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რა არის უფრო მთავრი, ქვები თუ ადამიანები“. ამ ფრაზაში მეუფემ ნათლად განმარტა, თუ რა

საგანგებო ჩანართი



მნიშვნელობა აქვს ეკლესიისათვის მორწმუნეთა საკრებულოს, ქრისტიანული რწმენით გაერთიანებულ საზოგადოებას. ეს გაერთიანება დაფუძნებული უნდა იყოს შეგნებული რწმენის, უანგარო სიყვარულის საფუძველზე და არა შიშისა და ფანატიკური მორჩილების ხარჯზე. ხოლო როცა კათოლიკურ რწმენაზე დაფუძნებული საკრებულოები იქმნება, მათთვის ახალი სატაძრო ნაგებობის აგება გადაულახავ პრობლემას აღარ ნარმოადგენს. ეს ჭეშმარიტება დრომ დაადასტურა ახალიზის, ჭიათურის, ხიზაბავრის, ოზურგეთის, ახალციხის, რუსთავის მაგალითზე, ხოლო მორწმუნეთაგან დაცარიელებულ ტაძარს კი, ხალხური ანდაზის თანახმად, ცნობილია, ვინც დაეპატრონება. ამიტომაც ყოველი ეკლესია ცდილობს, მუდმივად იზრუნოს მრევლის განათლებაზე.

მორწმუნეთა საკრებულოს შექმნას რწმენაში გათვითცნობიერებული ადამიანები ეს-

აჭიროება, განათლება მოითხოვს შესაბამის ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, რომელთა საშუალებითაც განიმტკიცებენ სასულიერო პირებისა და კატეხიზმის მიერ გადმოცემულ ცოდნას.


ამ 30 წლის წინ, როდესაც საქართველოში, 70-წლიანი ათეისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ, ქართულ ენაზე თანამედროვე რელიგიური ლიტერატურა, მით უმეტეს, კათოლიკური, თითქმის საერთოდ არ არსებობდა, უფრო მეტიც, ქართულ ენაზე ლათინური წესის წირვის წესიც კი არ იყო ნა-

თარგმნი და დამტკიცებული, სამხრეთ საქართველოს საკრებულოებში მსახურების დროს გამოიყენებდნენ XVIII საუკუნეში ლათინურიდან ნათარგმნ, თეოლოგიურად და ფილოლოგიურად მოძველებულ ტექსტებს,

საგალობლებს, კატეხიზმოებს, რომელთაც სრულფასოვანი განახლება, დიდი ნაწილის კი თავიდან თარგმნა სჭირდებოდა. 90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ლატვიაში, რიგის საარქიეპისკოპოსო ეპარქიაში გამოიყენებინათ რუსული კატეხიზმო, რომელიც უკვე ვეღარ პასუხობდა საქართველოს თანამედროვე გამოწვევებს. სწორედ ამიტომ ახალი მღვდელმსახურების მოწვევისა და პერსპექტიული სასულიერო კადრების მომზადების პარალელურად, სამოციქულო ადმინისტრაციის უპირველესი ამოცანა გახდა, ეთარგმნათ და გამოე-

ცათ კათოლიკური სასწავლო-თეოლოგიური ლიტერატურა. ერთი სიტყვით, სახარებას თუ დავემოწმებით, „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკი მცირედ“ (მათე 9, 36-38), თუმცა კათოლიკეთათვის საქართველოში, სამი ათწლეულის წინ, ამ კუთხით კიდევ უფრო სავალალო ვითარება იყო. სამოციქულო ადმინისტრაცია შეუდგა საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას და, ყველა კათოლიკეს სასიხარულოდ, რამდენიმე წელიწადში საგანმანათლებლო-თეოლოგიური კუთხით „დიდი გარღვევა“ მოხერხდა. პირველ რიგში, მეუფე ჯუზეპეს მონდომებითა და ხელშეწყობით, დაინყო მუშაობა კათოლიკე ეკლესიის სანიმუშო ლათინური გამოცემის კატეხიზმოს თარგმნაზე.

1997 წლის პირველ ნოემბერს, ყველა წმიდანთა დღე-სასწაულზე, მეუფე ჯუზეპე პაზოტის დასტურითა და კურთხევით, ქართულ ენაზე ნათარგმნმა კათოლიკე ეკლესიის კატეხიზმოს სრულმა ვერსიამ დღის სინათლე იხილა. „იმედს



ქრისტიანობის
ღისისი

გამოვთქვამ, რომ კატეხიზმოს ქართული თარგმანი ხელს შეუწყობს ქართველ მორნმუნეთა სულიერ ზრდასა და ქრისტეს გზაზე სვლას“, - წერდა ნინასიტყვაობაში სამოციქულო ადმინისტრატორი. აღნიშნული კატეხიზმო წარმოადგენს ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების დადგენილებების მიხედვით შექმნილ სახელმძღვანელოს და იგი სრულყოფილი და თანამედროვე დიდაქტიკური ტექსტია მსოფლიოს მრავალმილიონიანი კათოლიკე მრევლისათვის, რომლის განუყოფელ წანილსაც წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ კი, საქართველოს კათოლიკური თემი. უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ეს გამოცემა უმთავრეს სამაგიდო სახელმძღვანელოს წარმოადგენს ქართულენოვანი კათოლიკე მრევლისა და სასულიერო პირთათვის.

ქართულ ენაზე ნირვის წესის თარგმნისა და დამტკიცების შემდგომ, 1994 წლიდან, საქართველოს ყველა ლათინური წესის კათოლიკურ საკრებულოში მსახურება სახელმწიფო

ენაზე აღევლინება, ამიტომაც აუცილებელი იყო ქართულ ენაზე „უამნის ლოცვებისა“ და საგალობლების კრებულების მომზადება და გამოცემა; მოკლე ხანში ეს წიგნებიც გამოიცა და ხელმისაწვდომი გახდა მორნმუნებისათვის. 1995 წელს გამოიცა, დღეს ყოველი კათოლიკესათვის ლამის სამაგიდო წიგნად ქცეული, მურმან პაპაშვილის ავტორობით მომზადებული „საქართველო-რომის ურთიერთობა“ (საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მოკლე ისტორია).


შექმნის პირველი დღებიდანვე სამოციქულო ადმინისტრაცია უმნიშვნელოვანეს ყურადღებას უთმობდა საკრებულოებში გაერთიანებულ მორნმუნეთა თეოლოგიურ და საეკლესიო-პრაქტიკულ მომზადებას. ამ მიზნით, სამოციქულო ადმინისტრაციის ეგიდით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქუთაისთან ახლოს, სოფელ ორპირში იქმნება კამპოსკოლა, ხოლო 2000-იანი წლებიდან წეროვანში სპეციალურად იქმნება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი სულიერების ცენტრი. ათწლეულების მანძილზე ამ ცენტრებში ასეულობით მორნმუნებმ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გაიარა სწავლება, მომზადება, ტრენინგი, სამუშაო შეხვედრა. ამ ცენტრების ღვაწლი მონმუნეთა სულიერ აღზრდაში განუმეორებლად მნიშვნელოვანია.

კამპოსკოლების გამოც-



ვაჟიქანის II ქაბა

დილების გაზიარებით, შემდგომში, მათგან პარალელურად, უკვე ცალკეულ საკრებულოებში უშუალოდ მოძღვრების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იქმნება ახალგაზრდული ცენტრები, სადაც სამრევლოს ახალგაზრდებისათვის მოქმედებს სხვადასხვა თემატურ-პრაქტიკული წრეები, კატეხიზაციის კურსები. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მამა მიხეილ სურმავას მიერ სოფელ არალისა და ვალეს ახალგაზრდული ცენტრები, რომელთა საქმიანობის არეალი გასცდა კონკრეტულად ერთი საკრებულოს მასშტაბებს და სხვადასხვა საკრებულოს წევრთა არაერთ საინტერესო აქტივობას მასპინძლობდა. ამავე ახალგაზრდული ცენტრების წევრთა მონაწილეობით უკვე ხუთი წელია მოქმედებს მედიაცენტრი „Catholic.ge“ - კათოლიკე ეკლესიის საინფორმაციო საგენტო“. კათოლიკური მედიასააგენტო წარმოადგენს სამოციქულო ადმინისტრაციის



საგანგებო ჩანართი

მედიაპორტალს, რომლის მეშვეობით საინფორმაციო-შემეცნებითი გადაცემები ვიზუალურად მიეწოდება დაინტერესებულ მაყურებელს. მანამდე კი იყო სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებული ბეჭდური საშუალებები: გაზეთი „საქართველოს კათოლიკე“, შემდგომ კი - „საბა“. ამ ორივე გამოცემამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის შესახებ მართალი ინფორმაციის გავრცელებაში, განსაკუთრებით 90-იან წლებში, როდესაც სხვა საინფორმაციო საშუალება არ არსებობდა.

გადის დრო, იცვლება და იხვენება მედიასაშუალებები, იზრდება მომხმარებლის გემოვნება და მოთხოვნილება, ეკლესია არ უნდა ჩამორჩეს საუკუნის გამოწვევებს, მით უმეტეს, კათოლიკე ეკლესია, რომელიც საქართველოში ევროპის სარკმელს წარმოადგენს. 2005 წლიდან, სამოციქულო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, განხორციელდა „საბას“ რეორგანიზაცია და ბეჭდური გამოცემა გადაიქცა თანამედროვე მაღალი პოლიგრაფიული დონის ილუსტრირებულ საინფორმაციო-შემეცნებით ყოველთვიურ ჟურნალად, რომელმაც საქართველოს სახალხო დამცველის საპატიო ქომაგის წლებაც დაიმსახურა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ინდექსიც მიიღო.

2001 წლიდან, სამოციქულო ადმინისტრატორის თანადგომით, იწყება მოსამზადებელი მუშაობა კავკასიაში პირველი თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად.

მურმან ჰაპაშვილი

საქართველო-რომის ერთიანობა



კათოლიკური ეკლესიას მხტარია
ხავარიულობა

ორიოდე წელიწადში სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტი კათოლიკური თეოლოგიით დაინტერესებულ პირველ სტუდენტებს მიიღებს. ამჟამად კი უკვე უნივერსიტეტი საერთაშორისო რეიტინგით სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო და დამოუკიდებელ უნივერსიტეტებს შორის 49-ე ადგილს იკავებს, რაც, უდავოდ, დიდი წარმატება და აღიარებაა სულ რაღაც ოცი წლის წინ დაფუძნებული უმაღლესი სასწავლებლისათვის.

სამოციქულო ადმინისტრაციის მიერ შექმნილი ეკუმენიზმისა და კულტურის კომისია, მამა გაბრიელე ბრაგანტინის უშუალო ხელმძღვანელობით, ორ ათეულ წელზე მეტია აწყობს სამეცნიერო ფორუმებს, ეკლესიათაშორის შეხვედრებს, გამოსცემს თემატურ ლიტერატურას. კომისიის ეგიდოთ, 2018 წლიდან სისტემატურად ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმები, რომელიც საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლა-გამომზეურებას ეძღვნება.

შემდგომ წლებში სამოციქულო ადმინისტრაციის სტიმულირებით შექმნილი ქრისტიანული კულტურის ცენტრის (ხელმძღვანელი პროფესორი მერაბ ღალანიძე), სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტის უშუალო ორგანიზებით ათობით თეოლოგიური, რელიგიათმცოდნეობითი, საისტორიო ნაშრომისა და პერიოდული კრებულის გამოცემა გახდა შესაძლებელი. ეს ტექსტები, კათოლიკე მრევლის გარდა, ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის არის ხელმისაწვდომი და მრავალი მკვლევარი იყენებს იქ გამოქვეყნებულ მასალებს თავის სამცნიერო ნაშრომებში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების კონსტიტუციის და ქრისტიანობის ლექსიკონის გამოცემა, ეს ორივე წიგნი იმთავითვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

განვლილი 30 წლის მანძილზე საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციის მხოლოდ საგანმანათლებლო კუთხით განვითარებული საქმიანობა იმდენად მრავალმხრივი, ნაყოფიერი და მრავალრიცხოვანია, რომ ამ ჩანართის შეზღუდული ფორმატის გამო მთელი ამ მემკვიდრეობის მეტ-ნაკლებად სრულად გადმოცემა შეუძლებელია, ამიტომ მრავალი ავტორი, ვისაც წლების მანძილზე თავისი დაუღალავი შრომით წვლილი შეჰქონდა ამ პროექტების განხორციელებაში, უბრალოდ ვერ მოვიხსენიეთ, არადა ყველა მათგანის წვლილი მნიშვნელოვანია და ყოველი მათგანი გულწრფელ მაღლობას იმსახურებს.


გენერალური რეპეტიცია

საქართველოს კარიტასის კეთილი ნების ელჩის, სოფია გორდელაძის ორგანიზებით, თბილისის ბავშვთა დღის ცენტრის ბავშვები ოპერისა და ბალეტის თეატრს ეწვივნენ. ისინი დაესწრნენ ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ გენერალურ რეპეტიციას. ოპერა, რომლის დადგმი-დანაც 100 წელი გავიდა, რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ განაახლა.

კარიტასი მადლობას უხდის ჩვენი კეთილი ნების ელჩს, სოფია გორდელაძესა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ამ შესაძლებლობისათვის.



ნეტარი ვლადისლავ ბუკოვინისკი



20 ივნისს კათოლიკე ეკლესია მოიხსენიებს ნეტარ ვლადისლავ ბუკოვინისკის, რომელსაც სამართლიანად ეწოდა ყაზახეთის მოციქული.

ვლადისლავ ბუკოვინისკი დაიბადა 1904 წლის 22 დეკემბერს, უკრაინის ქალაქ ბერდიჩივში. ოთხი დღის შემდეგ იგი მონათლეს წმიდა ბარბარეს ადგილობრივ ეკლესიაში. ცხოვრების პირველი წლები მან გაატარა სოფელ გრიბენიკოვკაში. ვლადისლავმა ბავშვობიდანვე გამოავლინა დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რელიგიური განათლება მან პირველად ოჯახში მიიღო და სავარდი მისი საყვარელი ლოცვა გახდა. ბუკოვინისკის სახლში სუფევდა სიკეთისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, რამაც ღრმა კვალი დატოვა მის გულში მთელი ცხოვრების განმავლობაში.

1914 წელს იგი შევიდა კიევის რუსულ გიმნაზიაში, შემდეგ სწავლობდა უკრაინის ქალაქ უმერინკაში, 1917 წლიდან კი - პოლონურ გიმნაზიაში, ქალაქ სმელნიკუში. 1920 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა პოლონეთში, რათა თავი დაელინათ ბოლ-შევიკებისაგან. ვლადისლავი ჩაირიცხა კრაკოვის იაგელონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1926 წელს. პარალელურად, მან წარჩინებით დაასრულა პოლონეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა, ბუკოვინისკი მუშაობდა უზრნალ „Czas“-ის რედაქციაში. შემდეგ იგი შევიდა სასულიერო სემინარიაში და დაიწყო თეოლოგიის შესწავლა იაგელონის უნივერსიტეტში. მღვდელმა იოზეფ ნოვაკმა, სოფელ რუდავას ეკლესიის წინამძღვარმა, მას შემდეგი დახასიათება მისცა: ლვითისმოსაბისა და სამაგალითო ცხოვრების წყალობით, ის მაგალითი იყო არა მხოლოდ მრევლისთვის, არამედ მღვდლებისთვისაც და იძლეოდა იმედს, რომ იქნებოდა „ეკლესიის სია-

მაყე“. 1931 წელს ვლადისლავ ბუკოვინისკი ხელდასხმულ იქნა მიტროპოლიტ ადამ სტეფან საპეგას მიერ კრაკოვის საკათედრო ტაძარში. 1931-1935 წლებში მამა ვლადისლავი მსახურებდა მრჩევლად რაბკას გიმნაზიაში, შემდეგ კი - ქალაქ სუხა ბესკიდზესკაში. აქ ის ზრუნავდა ავადმყოფებსა და ლარიბეჭზე. 1936 წლის აგვისტოში ბუკოვინისკი შვებულებაში გავიდა და გაემგზავრა პოლონეთში, შემდეგ კი ითხოვა გადაყვანა ლუცკის ეპარქიაში, სადაც მუშაობდა სასულიერო სემინარის მასწავლებლად, მერე კი - კათოლიკური მისის საეპარქიო ინსტიტუტის მდივნად. ამავე დროს, იყო უზრნალ „Słopnia“-ს რედაქტორი, ასევე, რელიგიური ცოდნის უმაღლესი ინსტიტუტის დირექტორი და გამომცემლობა „Życie Katolickie“-ის რედაქტორის მოაღვილე.

1939 წელს მამა ვლადისლავი დაინიშნა ლუცკის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად. ციმბირსა და ყაზახეთში გადასახლებაში დაიმდინა მათ. ასევე, ვლადისლავი ადგილობრივ სასაფლაოზე კრძალავდა ვაგონებიდან გადმოყრილ გაყინულ ბავშვებს, რომლებიც გადასახლებაში მიჰყავდათ. უწმიდესმა მამამ, იოანე პავლე Ⅱ-მ ამ საქციელს მონამისა და მწყემსის გმირობა უწოდა. ხალხისადმი ასეთი სამსახურისთვის ბუკოვინისკი დააპატიმრა შსსკ-მ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი), იგი გამოამწყვდიეს ლუცკის ციხეში, სადაც მას რვა წელი მიუსაჯეს შრომით ბანაკებში. თუმცა, ნაციისტური არმიის სწრაფი წინავლის გამო, საბჭოთა ხელისუფლება უკან იხევს და იწყებს პატიმრების ლიკვიდაციას. 1941 წლის ივნისში მამა ვლადისლავი სასწაულებრივად გადაურჩა საბჭოთა არმიის მიერ პატიმართა მასობრივი სიკვდილით დასჯას: მას ტყვია არ მოხვდა. ბანაკის ეზოში დაწოლი, ტყვიების ზუზუნში, იგი აღსარებას იბარებდა თავის თანამებრძოლთაგან და ცოდვებს მიუტევებდა მათ.

მამა ვლადისლავი ციხიდან უკიდურესად დაღლილი და დაუძლურებული გამოვიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან განაგრძო ლუცკის საკათედრო ტაძარში წინამძღვრად მსახურება. წითელი არმიის მიერ ლუცკის ხელახლი ოკუპაციის შემდეგ, 1945 წლის იანვრის ღამეს, მამა ვლადისლავ ბუკოვინისკი ისევ დააპატიმრეს და სხვა მღვდლებთან ერთად გამოამწყვდიეს ლუცკის შსსკ-ის შენობაში. გამოძიების შემდეგ მღვდლები წაიყვანეს ქ. კოველში, იქიდან კი კიევის შსსკ-ის ციხეში გადაიყვანეს. გამოძიების შედეგად, რომელიც ივნისამდე გავრძელდა, ყველა მღვდელს ბრალი წაუზენეს და დაუსწრებლად მიუსაჯეს ათი წელი გამოსასწორებელ ბანაკებში. 1946-50 წლებში მამა ვლადისლავი იმყოფებოდა ჩელიაბინსკის ბანაკში, სადაც, გარდა მძიმე სამუშაოსი, ფარულად აღასრულებდა სამღვდელო მსახურებას. მომდევნო ოთხი წელი მან გაატარა

უეზკაზგანის სპილენძის მაღაროში, იგი იქაც ცდილობდა გამოყენებინა ყველა შესაძლებლობა მოციქულობისათვის და სანამ ყველას ეძინა, ორნატის (ლიტურგიული შესამოსელი) ნაცვლად ციხის უხეში ტანსაცმლით მოსილი, აღასრულებდა ევეკარისტიას, მუხლმოყრილი ნარჩე (ციხის საწოლი), რომელიც, ამავდროულად, საკურთხევლის მაგივრობასაც სწევდა.

1954 წლის აგვისტოში მამა ვლადისლავ ბუკოვინისკი გაათავისუფლეს ბანაკიდან და გადაასახლეს ყარაგანდაში, სადაც მუშაობდა დარაჯად სამშენებლო მოედანზე და ფარულად ეწეოდა მსახურებას. თავისი მონოდებისადმი ერთგულების ნიშნად, მან უარი თქვა პოლონეთში, თავის ისტორიულ სამშობლოში, დაპრუნების შესაძლებლობაზე, გადაწყვიტა საპჭოთა მოქალაქეობა მიეღო და სიკვდილამდე ადგილობრივი მორჩმუნების ერთგული დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ამ არჩევანს. იმ მომენტიდან, როდესაც მიიღო პასპორტი და გადაადგილების თავისუფლება მთელ საპჭოთა კავშირში, მამა ვლადისლავმა მთლიანად მიუძღვნა თავი ღვთისმსახურებას, რომლის აღსრულებაც მაინც ფარულად უწევდა. იგი დასახლდა ყარაგანდის გარეუბანში, მადეროვების პოლონურ ოჯახში. შემდეგ მან მოიარა მთელი ყაზახეთი და ცენტრალური აზია, რათა დახმარებოდა მღვდლებს; რამდენჯერმე ეწვია ტაჯიკეთსაც. მამა ვლადისლავმა ალმა-ატას მიდამოებში მოინახულა პოლონელი დევნილები, რომლებსაც მთელი ოცი წელი არ ენახათ მღვდელი.


1958 წელს ბუკოვინსკი დააპატიმრეს რელიგიური საქმიანობისათვის (იგი ცდილობდა ყარაგანდაში კათოლიკური საკრებულოს რეგისტრაციას). მან სულ 13 წელი გაატარა ციხეებსა და შრომით ბანაკებში. გათავისუფლების შემდეგ მამა ვლადისლავი დაპრუნდა ყარაგანდაში და განაგრძო სამწყსო მსახურება.

ბერძნული წესის კათოლიკე ეპისკოპოს ალექსანდრე ხირასთან ერთად მან დააფუძნა წმ. ფრანცისკეს მესამე ორდენი, სადაც დებდნენ აღთქმას და ემზადებოდნენ მონაზვნობისთვის. 1965 წელს მამა ვლადისლავმა პირველად მიიღო ქვეყნიდან გასვლის ნებართვა, რათა ნათესავები მოენახულებინა პოლონეთში. თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ ის ჩავიდა სამშობლოში, შეხვდა ოჯახს და ძველ მეგობრებს, მაგრამ დარჩენა არ მოისურვა, რადგან მიიჩნევდა, რომ მისი ადგილი ყარაგანდაში იყო. მას კიდევ ორჯერ მოუწია პოლონეთში დაბრუნება, რათა გაუმჯობესებინა ჯანმრთელობა, ძლიერ შერყეული პატიმრობის წლებში და მძიმე სამწყსო მსახურებისას. აյ იგი შეხვდა კარდინალ კაროლ გოლტილას, რომელიც დიდად დაინტერესდა ყაზახეთში მისი სამწყსო საქმიანობით.

პოლონეთში მკურნალობამ ამაოდ ჩაიარა, მამა ვლადისლავი ვერ გამოკეთდა. ყარაგანდაში დაბრუნებული, ის ინარჩუნებდა სულიერ სიმშვიდეს და უკანასკნელ ძალას იკრებდა, რათა მღვდელმსახურება აღესრულებინა. ბოლო წმიდა წირვა მან 25 წლების აღასრულა და აღსარების საიდუმლოს, სწეულთა ზე-თისცხებისა და უკანასკნელი ზიარების (ლათ. Viaticum) მიღების შემდეგ იგი საავადყოფოში გადაიყვანეს. ვლადისლავ ბუკოვინსკი გარდაიკვალა ყარაგანდაში, 1974 წლის 3 დეკემბერს. ბოლო წუთამდე მას ცნობიერება არ დაუკარგავს და განუწყვეტლივ ლოცულობდა სავარდით ხელში. მის დაკრძალვას ესწრებოდა ათასობით ადამიანი, ყველას სურდა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა ყაზახეთის მოციქული. მამა ვლადისლავის წმიდა წეტი განისვენებს ყარაგანდაში, ფატიმის უნიდესი ქალწული მარიამის - ყველა ერის დედის ახალი საკათედრო ტაძრის საძვალეში, გარემოცული მორჩმუნეთა ლოცვით, მზრუნველობითა და ხსოვნით. 2016 წლის 11 სექტემბერს სწორედ ამ ტაძარში იქნა იგი ნეტარად შერაცხილი.



რვა მზაპვრული ფილმი
ევამრე პონტოელის მიხედვით



(C) ArtsDot.com - Giovanni Bellini

მწუხარება

საბოლოოდ კი ადამიანი ხვდება, რომ მისი მრისხანების ძალა, პროტესტი, ბრაზი მათდამი, რომლებმაც მისი მოლოდინი არ გაამართლეს, ადრე თუ გვიან იწურება. ეს საწვავი, ენერგია, რომელსაც ადამიანი მრისხანებისას იყენებდა, საბოლოოდ ამოიწურება და იგი მიეცემა მწუხარების, რასაც მოსდევს დანებება. ყველაფერი, რაც აქამდე იყო, ჩანს უფრო კარგი და სასიამოვნო, ვიდრე ის, რაც არის ახლა. როდესაც მწუხარების დემონი ხვდება, რომ ამ აზრებს

მისთვის სასურველი შედეგი მოაქვთ და ადამიანი კიდეც ეჩვევა მათ, მაშინ მოპევრის მას უკიდურეს მწუხარებას, გამოწვეულს აწმყოს გამუდმებული შედარებით წარსულთან, რომელიც ადამიანს ეჩვენება უფრო კარგი, სასიამოვნო. რაც უფრო მეტად მიეცემა იგი ოცნებებს წარსულზე, ან იდეალური მომავლის წარმოდგენებს, მით უფრო იპყრობს მწუხარება უიმედო აწმყოს გამო. თებეს მხარეში ცხოვრობდა ბერი, სახელად იერაქსი, რომელმაც 90 წლამდე იცოცხლა. მაშინ ეშმაკებმა განიზრახეს, სიცოცხლე მოე-

ბეზრებინათ მისთვის; ერთ დღესაც გამოეცხადნენ და უთხრეს: „რაღა უნდა ქნა, ბერო, ნინ ხომ ჯერ კიდევ 50 წელი გაქვს!“ ბერმა კი მიუგო: „რა ძალიან შემაშინეთ! არადა მე 200 წლისთვის მოვემზადე“. მაშინ ეშმაკები ზმუილით გაიფანტნენ (მეუდაბნოეთა გამონათქვამები).

მრისხანება

პონტოელი წმიდანი წერს, რომ ყველა მზაკვრულ აზრთა შორის მრისხანება ყველაზე მეტად ამსგავსებს ადამიანს დემონს. თუმცა შეიძლება გვეგონოს, რომ უფრო დემონურია სიძულვილი ან სიძვა. ევაგრე ამბობს, რომ ის, ვინც მრისხანების დემონს აჰყვება, ჰგავს ადამიანს, რომელსაც დანახვა სურდა, მაგრამ დაიბრმავა თავი. მრისხანება ანადგურებს საერთო კავშირს „მე - შენ“, და ანაცვლებს მას ურთიერთობით „მე - ის“. ასევე, იწვევს გაუცხოებას „დამნაშავის“ მიმართ. ასეთი ურთიერთობის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ გულწრფელ მიტევებას, რომელიც სიყვარულში გადაიზრდება. მიტევების გარეშე აზრს კარგავს ასკეტური ცხოვრება. მოყვასთა მიმართ თავმდაბლობისა და გულმოწყალების გარეშე, მარტომდენ სულიერი ძალისხმევით, ღმერთთან ვერ მივალთ. ერთმა ძმამ მიმართა მას კითხვით: „რატომ ეშინიათ დემონებს ასე ძალიან შენი?“ ბერმა მიუგო: „იმიტომ, რომ რაც განდეგილი გავხდი, სულ ვცდილობ მრისხანება საკუთარ ყელშივე ჩავახშო“.

სიამაყე

უსაფუძვლო ტრაბახის ცოდვა. ვინ იცის, იქნებ დღეს ზუსტად სიამაყის დემონი უდგას სათავეში ინტერნეტ ფორუმებსა და სოციალურ ქსელებში ვირტუალური პიროვნებების შექმნას. ადამიანი ვერ იღებს საკუთარ თავს და ცდილობს, ვირტუალურ სივრცეში შექმნას თავისი , „მე“-ს გაუმჯობესებული ვერსია და ეგო „ლაიქების“ შეგროვებით დაიკმაყოფილოს. მაგრამ მარტომდენ სოციალურ ქსელში ვერ ვიარსებებთ. საკუთარი განსაკუთრებულობის დადასტურების სურვილი იგივე სიამაყეა, რომელიც ადამიანს დიდ საფრთხეს უქმნის. ევაგრე წერს, რომ ეს დემონი სხვა დანარჩენ დემონებს ულებს კარს და როცა ადამიანი მათ ამარცხებს, ამით კვლავ სიამაყის დემონს აძლევს ძალას, რომელიც, თავის მხრივ, ადამიანის მიერ დამარცხებულ დემონებს ხელახლა უხსნის გზას და, საბოლოოდ, ვიღებთ პარადოქსულ სურათს: დემონების დამარცხება ამავე დემონების ძალაუფლების გაძლიერებას უწყობს ხელს. „თუ სიამაყემ შეგიპყრო, გამოსცადე შენი სინდისი: იცავდი ყველა მცნებას? გიყვარდა შენი

მტრები? გაღელვებდა თუ არა მათი დამცირება და თუ მიიჩნევ, რომ ხარ ყველაზე ცოდვილი და გამოუსადეგარი მსახური. მაშინ შენი თავი სხვებზე უკეთესად აღარ მოგეჩვენება, რადგან მიხვდები, რომ ასეთი მზაკვრული ფიქრი ყველაფერს ანადგურებს“ (მეუდაბნოეთა გამონათქვამები).

გულგრილობა

დემონი არწმუნებს ადამიანს, რომ მისი ცხოვრება სრული კრახი და კატასტროფაა. „ცხოვრება არ გამოგივიდა! თუმცა გსურს ბედნიერი იყო; რაც შეიძლება სწრაფად გაიქმოვნი შორს და დაკავდი ისეთი აქტივობით, რაც ჯერ არ გამოგიცდია“. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს რადიკალური გადაწყვეტილების მიღება სჩვევიათ, ხშირად შორდებიან მეუღლეს, უარს ამბობენ მღვდლობასა ან ბერმონაზვნურ ცხოვრებაზე... განვლილი ცხოვრება უაზრობად ეჩვენებათ, მასზე დახარჯული დრო კი ტყუილად დაკარგული ჰგონიათ. ასე ყალიბდებიან ადამიანები, რომლებსაც არსად არ შეუძლიათ თავიანთი ადგილის პოვნა, 50 წლისანი არიან და კვლავ არ იციან, რით სურთ დაკავდნენ ცხოვრებაში; ადამიანები, რომლებიც აკეთებდნენ ყველაფერს და, ამავდროულად, არაფერს აკეთებდნენ, არ არიან სტაბილური. ასეთ გულგრილობას იწვევს საკუთარი თავისა და ცხოვრებისადმი მიუღებლობა, რომელიც გადაიზრდება დესტრუქციაში, რეალობის მიმართ აგრესიასა და აუხდენელ ოცნებებზე წუხილში. ამ სიტუაციას კარგად ასახავს ირონიული გამონათქვამი, რომელსაც ზოგჯერ ვიყენებთ, როდესაც არსებული პირობებით უკმაყოფილებას გამოვხატავთ: „კარგია ყველგან, სადაც ჩვენ არა ვართ“.

„ერთ ძმას 9 წლის განმავლობაში აცდუნებდა მზაკვრული აზრი, იქამდე, სანამ თავის ხსნის შესაძლებლობაში არ დაეჭვდა. ვინაიდან იგი ყველაფერს რაციონალურად უდგებოდა, თავისი მდგომარეობა გააანალიზა, საკუთარი თავი განწირულ ადამიანად ცნო და თქვა: „უკვე დავკარგე სული, ამიტომ ვუბრუნდები წუთისოფელს, რადგან ისედაც დავიღუპე“. მაგრამ უცებ ციდან ხმა მოესმა: „ის წლები, რომელთა მანძილზე ეშმაკი გაცდუნებდა, ეკლიან გვირგვინს ატარებდი: დაბრუნდი იქ, საიდანაც წამოხვედი, მე კი ამ მზაკვრული ფიქრებისგან გიხსნი“. აქედან ჩანს, რომ მზაკვრულმა ფიქრებმა სასოწარკვეთაში არ უნდა ჩაგვაგდონ, პირიქით, მათი დამარცხებით შეგვიძლია ავმაღლდეთ (მეუდაბნოეთა გამონათქვამები).

დასასრული, დასაწყისი „საბა“ #5(329)

ახალგაზრდულის ბრძანის

დიდხანს ვფიქრობდი, თუ ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ კათოლიკური ტაძრები საქართველოში წარმოდგენია. ახლა კი მივხვდი, რომ ეს ჩვენი, ახალგაზრდების, ბრალია. ალბათ გაოცდებით და იტყვით, რა ჩემი ბრალია, სხვებმა მიიტაცესო. დიახ, ასეა, მაგრამ ჩვენ ხმას არ ვიღებთ; გულისტკუვილით მოვინაზულებთ ხოლმე წართმეულ ტაძრებს, ან შეიქნება კომისია, რომელიც იმუშავებს ამ საკითხზე, მაგრამ მხარდაჭერას ვერ იგრძნობს.

მიჩნდება კითხვა: პირადი ნივთი რომ წაგვართვან, რას მოვიმოქმედებთ? რა თქმა უნდა, დავურეკავთ ყველა მეგობარს, ნაცნობს, ახლობელს და დახმარებას ვთხოვთ. წართმეულ ტაძართა დასაბრუნებლად კი რას ვაკეთებთ? განა ჩვენი არაა? რამდენმა ჩვენგანმა განუცხადა თავის მეგობარს, რომ კათოლიკეა და მისი ტაძარი წართმეულია? ალბათ ერთეულებმა, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ კარგად ვერ შეგვიგვრძნია, ჩვენი რომაა ეს ტაძრები. ვფიქრობთ, ეს პრობლემა მხოლოდ სასულიერო პირებმა უნდა გადაჭრან, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა, ეკლესია ხომ ერთიანობას

გვასწავლის.

ამ სტრიქონებს რომ კითხულობ, ალბათ გიჩნდება კითხვა: აბა, რა ვქნა? ძალადობისკენ ხომ არ მომიწოდებ ფარულად? რა თქმა უნდა, ქრისტიანობა არ ნიშნავს ძალადობას, მაგრამ არც უსამართლობაზე დუმილი ნიშნავს ქრისტიანობას. როდესაც ხანდაზმული კათოლიკები აღნიშნავენ, რომ ეკლესიის მომავალი ახალგაზრდები არიან, მართალია; ჰოდა, ნუ გრცხვენია, რომ კათოლიკე ხარ და როცა შენს საკუთრებას უსამართლოდ გართმევენ, ამოიღე ხმა! ახალგაზრდები ძალა ვართ, ამიტომ დროა, ვიმოქმედოთ და განვაცხადოთ, რომ კათოლიკე ქართველები ვართ, და რომ ჩვენი ტაძრები წართმეულია! არ იფიქრო, რას იტყვიან შეზე დღეს, იფიქრე, რას იტყვიან მომავალში ჩვენი თანატოლები, როცა გაიგებენ, რომ შენ სიმართლე დაამტკიცე და არ შეგეშინდა ამისი. ამიტომ ვიფიქროთ ერთად, როგორც ერთი დიდი ოჯახის წევრებმა, როგორ შეგვიძლია ამ პრობლემის გადაჭრა, არა სიტყვით, არამედ საქმით.

მე მიყვარს ჩემი ეკლესია!



იტალიური ზეითუნის ზეთი

ზეითუნის ზეთი, პურისა და ღვინის შემდეგ, ანტიკური ხმელთაშუაზღვისპირეთის გასტრონომიული კულტურის მესამე ქვაკუთხედია, რომელმაც შეინარჩუნა თავისი საკრალური მნიშვნელობა იტალიის თანამედროვე გასტრონომიულ კულტურაშიც. ზეთისხილის ხე უძველესი დროიდან დღემდე რჩება იტალიის სახელმწიფოსა და მისი კულტურის ერთ-ერთ სიმბოლოდ.

ზეითუნის ზეთი მზადდება ევროპული ზეთისხილის ნაყოფისაგან, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ხილის კულტურაა. ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ზეთისხილის წარმომბა უკავშირდება ათენას, ატიკისა (პერიფერია შუა საბერძნეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე) და ქალაქ ათენის უზენაეს ღვთაებას. მითის თანახმად, როდესაც ამ მხარის მმართველობაზე დავა გაიმართა ზღვების ღმერთ პოსეიდონესა და მემარ ქალღმერთ ათენას შორის, მოსამართლებმა გადაწყვიტეს, გამარჯვებულად ეცნოთ ის, ვინც ხალხს საუკეთესო საჩუქარს მიართმევდა. პოსეიდონმა მინას სამკაპი დაჲჰერა და წყარომ ამოხეთქა. პასუხად ათენამ შუბი მინაში ჩაარჭო და ზეთისხილის ხე აღმოცენდა. მას შემდეგ ზეთისხილი ათენას წმინდა ხედ მიიჩნევა.

ზეითუნის ზეთი (ბერძნ. ελαῖον) პირველად მოიხსენიება პომეროსის პოემებში „ილიადა“ და „ოდისეა“. ოდისევსის საკუჭნაოებში უხვად იყო ზეითუნის ზეთი. ბერძნული კოლონიების გავრცელებასთან ერთად, ზეთისხილის ხეები გაჩნდა სამხრეთ იტალიასა და ესპანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, მოგვიანებით კი სამხრეთ გალიაში, ანუ თანამედროვე საფრანგეთში. საფრანგეთის სამხრეთით მდებარე ისტორიული პროვინციის, პროვანსის სახელის მიხედვით, ზეითუნის ზეთს ეწოდა „პროვანსული ზეთი“. ზეითუნის ზეთი გახდა არა მხოლოდ რომაული გასტრონომიის, არამედ რომაული კულტურის ნაწილი.

გერმანელი ხალხების რაციონში ზეითუნის ზეთის შეტანას დიდად შეუწყო ხელი კათოლიკე ეკლესიამ. მარხვის დღეებში რაციონიდან გამოირიცხებოდა ღორის ქონი. ქონისა და ზეითუნის ზეთის ასეთი მონაცვლეობა გვხვდება უძველეს იტალიურ კულინარიულ წიგნში „წიგნი კულინარიის შესახებ“



(Liber de coquina), რომელიც გვირჩევს ბოსტნეულის წვნიანის (olus) მომზადებას ღორის ქონით ან ხორცით, მარხვის დღეებში კი - ზეითუნის ზეთით (Liber de coquina I, 10).

იტალია ამჟამად ზეითუნის ზეთის მეორე უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიოში ესპანეთის შემდეგ. ზეითუნის ზეთი ინარმოება იტალიის ყველა რეგიონში, გარდა ჩრდილოეთის მხარისა, სადაც კლიმატი არ იძლევა ზეთისხილის მოყვანის საშუალებას. უმაღლესი კატეგორიის საუკეთესო ზეთს Olio extra vergine di oliva აქვს ხარისხის ნიშანი DOP (Denominazione d'Origine Protetta - სახელისა და წარმომავლობის დაცვა).

ზეითუნის ზეთი დანამატებისა და სანელებლების გარეშე მეტად ფართოდ გამოიყენება, მას მოასხამენ სალათებს, ცხელ კერძებს, იყენებენ შესანვავად. არომატიზებული ზეთი დანამატებით, ჩვეულებრივ, გამოიყენება ცხელი კერძებისთვის (პიცა, ხორცი, თევზი და ა.შ.) განსაკუთრებული არომატის მისაცემად.

ზეითუნის ზეთის სათანადო შენახვა ძალიან მნიშვნელოვანია. ის უნდა ინახებოდეს მშრალ ადგილას და სრულ სიბნელეში. ზეითუნის ზეთი ძალიან კარგად შეისრუტავს სუნს, ამიტომ სახურავი მჭიდროდ უნდა იყოს დახურული.

იტალიაში ზეითუნის ზეთის წარმოების ძირითადი რეგიონებია: ლიგურია, ვენეტო, ტოსკანა, უმბრია, აბრუცო, კამპანია, აპულია და კალაბრია, სიცილია, სარდინია.

ორი დოქტორი

ერთ მოხუცებულ ქალბატონს ორი დიდი დოქტორი ჰქონდა. გაიდებდა ხოლმე ქალი მხრებზე ჯოხს, ერთ მხარეს ერთ დოქტორ დოქტორ და მეორე მხარეს - მეორეს და მიდიოდა წყაროზე წყლის მოსატანად. ერთი დოქტორ გაბზარული იყო, მეორე კი უნაკლო. ქალს უნაკლო დოქტორ მუდამ წყლით სავსე მიჰქონდა სახლამდე, გაბზარული კი ნახევრად დაცლილო.

ასე გავიდა ორი წელი, ამ ხნის მანძილზე ქალს სახლში ყოველდღიურად ნახევარი დოქტორ წყალი მიჰქონდა. უნაკლო დოქტორ ამაყობდა საკუთარი თავით, გაბზარულ დოქტორ კი რცხვენოდა თავისი ნაკლისა და თავს ცუდად გრძნობდა, რადგან მხოლოდ ნახევარი საქმის გაკეთება შეეძლო.

ერთ დღესაც, როდესაც ქალი წყაროზე წყალს ავსებდა, საკუთარ უსარგებლობაში დარწმუნებული დოქტორ ალაპარაკდა: „ძალიან მრცხვენია ჩემი

ნაკლის - სახლში მისვლამდე წყლის ნახევარი გზაზე იღვრება“.

მოხუც ქალს გაეღიმა და დოქტორ უთხრა: „ოდესმე თუ შეგიმჩნევია, რომ ბილიკის გასწვრივ, შენს მხარეს, უამრავი ლამაზი ყვავილია ამოსული, მეორე მხარეს კი — არა? კარგად ვიცოდი შენი ნაკლის შესახებ, ამიტომაც ყვავილები დავთესე ბილიკზე. ასე რომ, ყოველდღე, როდესაც სახლში მივდიოდით, შენ უბრალოდ კი არ ღვრიდი წყალს, არამედ ყვავილებს რჩყავდი. ყვავილები იზრდებიან, ყვავილობენ და ალამაზებენ არემარეს, მე კი ვკრევ მათ, თან მიმაქვს და სახლს ვამშვენებ. ასეთი რომ არ ყოფილიყავი, ეს ულამაზესი და სურნელოვანი ყვავილები ბილიკსა და ჩვენს სახლს არ დაამშვენებდნენ, ხოლო მე სიამოვნებას ვერ მივიღებდი.




ერთაშე ყოფნა გეიგი

3 ოვნისი, 2023

ოჯახების შეხვედრა

წეროვანი,
შეხვედრების სახლი "ტაბგა"



პროექტის ორგანიზატორი



INGER Georgia


პროექტის მხარდამჭერები



განსვენება საუკუნო მიანიშვი მათ, უფალო!



თენგიზ ჭავჭავაძე
* 29. 06. 1953, ბათუმი
† 18. 04. 2023, ბათუმი



ლაშა გოგებაშვილი
* 05. 01. 1955 წელი, ვაღა
† 22. 04. 2023 წელი,
ახალციხე



ნინო ქიქოძე –
აფრიკაავილი
* 20. 03. 1933, არალი
† 12. 04. 2023, არალი



გიორგი გოგებაშვილი
* 03. 10. 1950, უდე
† 07. 05. 2023, უდე



2023 წლის 22-25 ივნისი, ტეროვანი,
სულიერი შეხვედრების სახლი

ბიბლიური დღეები
მ. პიერ დიუმულენთან ერთად
იოანეს სახარების ირგვლივ



ჩასაწერად და ინფორმაციისათვის მიმართეთ
ალექსანდრა (ლალი) მარგველაშვილს

მობ.: (00995) 597 113 825

საბა კათოლიკური არქიეპისკოპოსობრივი გარემო
THE NORTH-EAST BULLETIN OF
DIOCESE OF GEORGIA - SABA

საბა

ISSN 2720-8001

ვიზუალური რედაქტორი: ქ. გაბრიელი ბრესალიძე CSS

სარგებლობის მიზანისას: წევნის სარგებლობა, კრისის მიზანი, მიზანის მიზანის მიზანი, მიზანის მიზანის მიზანი

ინტერნეტ გვერდის სახისას მიზანი, კრისის მიზანი, მიზანის მიზანი

მიზანის კრისის მიზანი, კრისის მიზანი, კრისის მიზანი, კრისის მიზანი

E-mail: saba.journal@gmail.com; რედაქტორის N1053; დარბაზის მიზანის მიზანის მიზანის მიზანი